

ბანმარტმბითი ბარათი

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს მოქმედ კანონში არსებული რიგი უზუსტობებისა და ხარვეზების აღმოფხვრა, რაც უფრო ეფექტურსა და მოქნილს გახდის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების საქმიანობას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევის ჩამონათვალის სრულყოფა. აგრეთვე ამგვარი დარღვევებისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევის ჩამონათვალს ემატება შემდეგი ქვეპუნქტები:

„კ.გ) მშენებარე ტერიტორიის შემომფარგვლელი უსაფრთხოების ღობის ან/და მშენებარე ობიექტის შემომფარგვლელი დამცავი ბადის დადგენილი წესის დარღვევით განთავსება ან განუთავსებლობა.

კ.დ) ობიექტის ფუნქციონირება ექსპლუატაციაში მიუღებლად.

კ.ე) მშენებარე ობიექტის წესის დარღვევით მიტოვება.

კ.ვ) დანგრეული, დაუმთავრებელი ან დამთავრებული სამშენებლო ობიექტის ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვება.

კ.ზ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიწერილობის შეუსრულებლობა ან არადროულად შესრულება;

კ.თ) ნორმატიული აქტით განსაზღვრული საორგანიზაციო წესების სხვა დარღვევა.“

აღნიშნული დამატების მიზანია უზრუნველყოს მშენებლობის მწარმოებლის მიერ საორგანიზაციო წესების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

კანონის მოქმედი რედაქციის მიხედვით არ არის მკაფიოდ განსაზღვრული თუ როდის დგება მიწერილობა და რა სახის დარღვევების მიმართ გაიცემა იგი. მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ცვლილება აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას ემსახურება.

კანონპროექტის მიხედვით იცვლება მე-4 პრიმა მუხლი რაც გაითვალისწინებს არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას. დღეს არსებული კანონის მიხედვით, არ არის განსაზღვრული როგორ უნდა მოხდეს საქმის წარმოების შეწყვეტა მიწერილობით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას, როგორ უნდა დაფიქსირდეს მიწერილობა შესრულდა თუ არა და ა.შ. კანონპროექტის აღნიშნული ცვლილება კი ითვალისწინებს დადგენილების სახეებს, რაც შეიძლება არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს თანამდებობის პირის მიერ იქნას მიღებული. ასევე, შემოღებულია შემოწმების აქტი მიწერილობის შესრულების მდგომარეობის დასაფიქსირებლად, რის შემდეგაც მოხდება დადგენილების მიღება. ყოველივე ეს კი ბევრად გაამარტივებს სამშენებლო დარღვევებთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას.

მოცემული კანონპროექტის მიხედვით ცალკე მუხლებად გამოიყოფა დარღვევები რაც აქამდე, მხოლოდ ერთ მუხელში იყო მოქცეული და მის გამოყენებას არაპრაქტიკულს ხდიდა.

ამასთანავე, დაემატა პასუხისმგებლობა ისეთი დარღვევებისთვის, როგორცაა მშენებარე ობიექტის დადგენილი წესის დარღვევით მიტოვება, რომლის მიზანია თავიდან იქნას აცილებული მშენებარე ობიექტის კონსერვაციის წესების დარღვევით მიტოვება, რადგან მაქსიმალურად იყოს დაცული უსაფრთხოების ნორმები და ქალაქის იერსახე. ამავე მიზანს ემსახურება ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვებისთვის სანქციის დაწესება, (აღნიშნული დარღვევისთვის გათვალისწინებული იყო ჯარიმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, მაგრამ სანქცია მის მოქმედებას არაეფექტურს ხდიდა, ასევე, აღნიშნული დარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაწესება „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში დარღვევის გამოსწორების დამატებითი შესაძლებლობას იძლევა, მშენებლობის შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ დადგენილების მიღების გზით. რაც ყველაზე მთავარია, დაწესდა ჯარიმა ობიექტის ექსპლუატაციაში მიუღებლად ფუნქციონირებაზე - აღნიშნული დარღვევისთვის ჯარიმა (ექსპლუატაციაში მიღების წესის დარღვევა) 2005 წლის 22 დეკემბრის ცვლილება-დამატებების კანონით გაუქმდა და დღეის მდგომარეობით მშენებელს არანაირი ნორმა არ ავალდებულებს ობიექტი ექსპლუატაციაში მისაღებად წარადგინოს და ამის საფუძველზე კომპლექსურად შემოწმდეს მშენებლობა ექსპლუატაციაში მიმდები ორგანოების მიერ, ამ ცვლილებით, ასევე, შესაძლებელი იქნება საჯარო რეესტრის მონაცემების ფაქტიურ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ამავე დროს, კანონპროექტს ემატება 5¹-5¹⁰ მუხლები, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის შემდეგი წესების დარღვევისათვის: არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში არსებული დარღვევებისათვის, უნებართვო მშენებლობისა და დემონტაჟისათვის, საინფორმაციო დაფის განუტავსებლობისა და დაფაზე არასრული ინფორმაციის განთავსებისათვის, უსაფრთხოების დობის ან/და დამცავი ბადის დადგენილი წესის დარღვევით განტავსების ან განუთავსებლობისათვის, ექსპლუატაციაში მიუღებლად ობიექტის ფუნქციონირებისათვის, მშენებარე ობიექტის დადგენილი წესის დარღვევით მიტოვებისათვის, დანგრეული, დაუმთავრებელი ან დამთავრებული სამშენებლო ობიექტის ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვებისათვის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიწერილობის შეუსრულებლობის ან არადროულად შესრულებისათვის, საორგანიზაციო წესების სხვა დარღვევებისათვის, ასევე ავარიული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობისათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო
წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღება არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე
კანონის პროექტის მიღებამ შესაძლოა დადებითი გავლენა იქონიოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, ახალი ჯარიმების შემოღების პირობებში მან შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა, თუმცა ზრდის პარამეტრების დადგენა ამ მომენტისათვის შეუძლებელია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე
კანონის პროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონის პროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული იქნება ფინანსური ცვლილებები იმ პირობების, რომლებზეც ეს კანონპროექტი ვრცელდება. კერძოდ, იმ პირებს, რომლებიც დაარღვევენ წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილ წესებს, დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ფულადი ჯარიმების სახით.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით დადგენილია ჯარიმების ოდენობები არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილ წესების დარღვევებისათვის. აღნიშნული ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის პრინციპს წარმოადგენს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის წესების მკაცრად დაცვის აუცილებლობა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით არ გამართულა სამუშაო შეხვედრები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი.